



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კურდღლის ბალახი (Anthyllis)



კურდღლის ბალახი

კურდღლის ბალახი (Anthyllis), მცენარეთა გვარი პარკოსანთა ოჯახისა, ბალახები, ბუჩქბალახები, იშვიათად – ბუჩქები. აერთიანებს 50-მდე სახეობას, რ-ებიც უმეტესად გავრცელებულია სამხრ. ევროპაში, ჩრდ. აფრიკასა და დას. აზიაში.

საქართველოში იზრდება 3 სახეობა. მათგან ერთი (*A. polyphylla*) გვხვდება მხოლოდ აფხაზეთის მდელოებსა და ბუჩქნარებში მთის შუა სართულამდე, დანარჩენი ორი (*A. vatiegata* და *A. lachnophora*) მთელ საქართველოშია გავრცელებული სუბალპ. და ალპ. მდელოებსა და ჩამონახვავებზე, აგრეთვე მთის შუა და ზედა სართულში. კ. ბ-ის ყველა სახეობა კარგი საკვებია. განსაკუთრებული

მნიშვნელობა აქვს მაღალმთის საძოვრებისა და სათიბებისათვის. მრავალი მათგანი შეიცავს მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებებს.
